ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N22

2014 წლის 31 ივლისი

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენისა და ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 აგვისტოს N45 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენისა და ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 აგვისტოს N45 დადგენილება.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ბეჭდის ნიმუშისა და რწმუნებულთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აგვისტოს N52 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე